# სასწავლო მასალასთან და დავალებასთან მუშაობის ინსტრუქცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული კომპონენტებით სწავლების პლატფორმის (პლატფორმა) მისამართია: **elearning.gtu.ge**

1. პლატფორმაზე შესვლის შემდეგ დაინახავთ იმ სასწავლო კურსებს, რომელსაც მიმდინარე სემესტრში გადიხართ.




2. აირჩიეთ სასურველი კურსი. სასურველი კურსის არჩევის შემდეგ ეკრანზე გამოდის კურსის ფანჯარა, რომელიც დაყოფილია 15 კვირად.



## სასწავლო მასალასთან მუშაობა

თითოეულ კვირაში ატვირთულია სასწავლო მასალა და დავალებები. სასწავლო მასალა შესაძლოა იყოს სხვადასხვა ტიპის ფაილები, მათ შორის: PDF, ტექსტური, პრეზენტაცია, ვიდეო, აუდიო და სხვა.

სასწავლო მასალაზე დაკლიკებით შეგიძლიათ გაეცნოთ მოცემულ მასალას ონლაინ გარემოში ან გადმოწეროთ **(Download).**

## დავალებასთან მუშაობა

1. დავალების მისაღებად და შესრულებული დავალების ასატვირთად გამოიყენეთ ბმული **დავალება**.
   დავალებაში მოცემულია შესასრულებელი დავალების მოკლე ინსტრუქცია/შესასრულებელი დავალების ფაილ(ებ)ი, დავალების ჩაბარების და შეფასების სტატუსი, ასევე, დროითი მიჯნები **(Deadline).**



2. შესრულებული დავალების ასატვირთად დააჭირეთ ღილაკს **დაამატე წარსადგენი დოკუმენტი (Add Submission).**




3. ეკრანზე გამოსული ფანჯრის ველში **„შეგიძლიათ აქ გადმოათრიოთ თქვენი ფაილი დასამატებლად"** (**You can drag and drop files here to add them**) გადმოათრიეთ ასატვირთი ფაილი



ან

ისარზე დაჭერის შემდეგ, გამოსული დიალოგური ფანჯრიდან, კომპიუტერიდან ატვირთეთ ფაილი ბრძანებათა შემდეგი მიმდევრობით: **ატვირთე ფაილი → Choose File → ატვირთე ეს ფაილი (Upload file →Choose file → Upload this file).**




4. ფაილის ატვირთვის შემდეგ, ასატვირთ ფანჯარაში გამოჩნდება ატვირთული ფაილი, რის შემდეგაც დავალების გაგზავნა უნდა დაადასტუროთ ღილაკით **დაიმახსოვრე ცვლილებები (Save Changes).**

